განმარტებითი ბარათი
„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია **მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში დაგეგმილი ცვლილებებისათვის შესაბამისი სამართლებრივი საფუძველების შექმნისა და მასწავლებლის პროფესიაში შესვლის გზების გამრავალფეროვნების აუცილებლობა.**

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია მასწავლებლების ნდობის ამაღება მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემისადმი, მასწავლებლის პროფესიაში შესვლის გზების გამრავალფეროვნება და მასწავლებლის პროფესიული განვითარების პროფრამების განხორციელების უფლების მოპოვების სისტემის გადახედვა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის შესაბამისად, იცვლება ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მასწავლებლობის მაძიებლობის ცნება და სისტემა. კერძოდ, მასწავლებლობის მაძიებელი იქნება პირი, რომელსაც აქვს სულ მცირე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის მიმართულებით ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ან/და სასპორტო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (სასპორტო საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის შემთხვევაში), ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროებიდან გამომდინარე დროებით დასაქმებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში. აღსანიშნავია, რომ მასწავლებლობის მაძიებლობის სისტემა დღეს მოქმედი რედაქციით არ ფუნქციონირებს, რამდენადაც ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი მასწავლებლობის მაძიებელს განმარტავს პირად, რომელიც დროებით ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად. თუმცა, ამავე დროს ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21^4 მუხლის მე-2 პუნქტში ნათქვამია, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი რეგისტრაციაში ატარებს მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ კანონით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. გაურკვეველია, პირს, რომელიც აკმაყოფილებს მასწავლებლის განათლებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და შეუძლია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობა დაიწყოს მასწავლებლად, რატომ უნდა გახდეს მასწავლებლობის მაძიებელი. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონპროექტით წარმოდგენილი ცვლილების შესაბამისად, მასწავლებლობის მაძიებლობა გახდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მასწავლებლად მუშაობის დაწყების უფლების მოპოვების ერთ-ერთი გზა ახალგაზრდა და მოტივირებული მასწავლებლობის უფლების არმქონე პირებისთვის, რაც ხელს შეუწყობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებში მასწავლებლის დეფიციტის აღმოფხვრასა და ახალგაზრდა კადრების მოზიდვას. მასწავლებლობის მაძიებლობის სისტემის ცვლილების აუცილებლობით არის განპირობებული ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21^4 მუხლის შეცვლაც. მასწავლებლობის მაძიებლობის სისტემის ცვლილებიდან გამომდინარე, ასევე ცვლილება შედის ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28^1 მუხლის მე-2

პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტში და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ვალდებულებად განისაზღვრება მასწავლებლობის მაძიებელთა რეგისტრაციისა და მაძიებლობის პერიოდის გავლის წესის, აგრეთვე მაძიებლობის პერიოდის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ნიმუშისა და მისი გაცემის წესის შემუშავება.

კანონპროექტის მიხედვით, იცვლება მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის სახელწოდება და დანიშნულება. კერძოდ, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა აღარ მოაწესრიგებს მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და საქმიანობის შეწყვეტის საკითხებს, შესაბამისად, სქემის დასახელება განისაზღვრება შემდეგნაირად - მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა. აღნიშნული უზრუნველყოფს მასწავლებლების ნდობის ამაღლებას სქემისადმი. მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის სახელწოდების ცვლილებიდან გამომდინარე, კანონპროექტით წარმოდგენილია ცვლილება ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლში, 21^7 მუხლში, 25-ე მუხლში, 26-ე მუხლში, 28^1 მუხლში, 56^1 მუხლში და 61^2 მუხლში.

კანონპროექტით წარმოდგენილი შემდგომი ცვლილება უკავშირდება მოწვეული მასწავლებლის ტერმინის შემოღებას, კერძოდ მოწვეული მასწავლებელი იქნება პირი, რომელიც მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართვის გარეშე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ასწავლის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ან გაუთვალისწინებელ საგანს და რომლის სამუშაო დატვირთვა მოიცავს არაუმეტეს მასწავლებლის სრული დატვირთვისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საგაკვეთილო საათების 50%-ს, აქვს შესაბამისი საგნის სწავლებისთვის საჭირო კომპეტენცია ან/და შესაბამის სფეროში პრაქტიკული გამოცდილება. აღნიშნული მნიშვნელოვანია, რამდენადაც განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს არჩევითი და ფაკულტატური საგნების სწავლება, რადგან აღნიშნული საგნების სწავლება ხორციელდება ერთი/ორი სემესტრის განმავლობაში, დამოკიდებულია მოსწავლეთა არჩევანზე და შესაბამისად შეიძლება ყოველ სემესტრულად/წლიურად შეიცვალოს, რაც აზრს აკარგვინებს მისი პედაგოგის მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართვას. ამასთან, შესაძლოა სკოლას სურდეს კონკრეტულ სფეროში პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირის მოწვევა სხვადასხვა საგნის ჩასატარებლად.

კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს შემცვლელი მასწავლებლის ტერმინის შემოღებას, კერძოდ შემცვლელი მასწავლებელი იქნება პირი, რომელსაც აქვს სულ მცირე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის მიმართულებით ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და რომელიც მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართვის გარეშე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ასწავლის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ან გაუთვალისწინებელ საგნებს იმ შემთხვევაში, თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროებიდან გამომდინარე, შეუძლებელია დროებით არმყოფი მასწავლებლის ჩანაცვლება სხვა მასწავლებლით, რომელიც აკმაყოფილებს მასწავლებლის განათლებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. შემცვლელ მასწავლებლად მუშაობის დაწყებიდან 1 წლის განმავლობაში პირი ვალდებული იქნება დააკმაყოფილოს მასწავლებლის განათლებასთან დაკავშირებული მოთხოვნები, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაუშვებელი იქნება მასთან შრომითი ურთიერთობის გაგრძელება. საყურადღებოა, რომ როგორც მოწვეული, ასევე შემცვლელი მასწავლებელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებულ იქნებიან დროებით, შესაბამისად, მათი ჩართვა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული

წინსვლის სქემაში აზრს მოკლებულია. კანონპროექტის შესაბამისად, მოწვეული და შემცვლელი მასწავლებლისათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენის უფლება მიეცემა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორს.

კანონპროექტის შესაბამისად, იცვლება მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სისტემა. პირველ რიგში საყურადღებოა ის გარემოება, რომ ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქცია ითვალისწინებდა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საკითხს. აღსანიშნავია, რომ მასწავლებლის მომზადება ხორციელდება მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით, რომლის აკრედიტაციის საკითხებსაც აწესრიგებს ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი. შესაბამისად, მიზანშეწონილია ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში მოწესრიგდეს მხოლოდ მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების საკითხი. საყურადღებოა, რომ კანონპროექტის შესაბამისად, მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვებისათვის ნაცვლად აკრედიტაციისა იქნება რეგისტრაცია, რომელსაც განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის მაგივრად განახორციელებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. აღნიშნული ხელს შეუწყობს მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის აკუმულირებას მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში. მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების რეგისტრაციის შემოღებით არის განპირობებული ცვლილება ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლში, 28^1 მუხლში და 56^1 მუხლში.

კანონპროექტი ითვალისწინებს ცვლილების შეტანას ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21^3 მუხლით გათვალისწინებული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მასწავლებლის პროფესიაში შესვლის მრავალფეროვანი გზები. ამასთან, პრაქტიკული ვითარებიდან გამომდინარე, ზუსტდება მასწავლებლის ზოგიერთი საკვალიფიკაციო მოთხოვნა.

კანონპროექტის შესაბამისად, ,,ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის“ 61^2 მუხლს ემატება მე-4 პუნქტი, რომლის მიხედვით, პირები, რომლებიც 2018-2019 სასწავლო წლის დასაწყისისთვის ასწავლიან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და არ არიან ჩართული მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩაითვლებიან მასწავლებლობის მაძიებლებად. იმის გათვალისწინებით, რომ ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქციით გათვალისწინებული მასწავლებლობის მაძიებლობის სისტემა არ მუშაობს ზემო აღნიშნული მიზეზებით, დღეის მდგომარეობით საჯარო სკოლებში დასაქმებული არიან პირები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ მასწავლებლის განათლებისათვის დადგენილ მოთხოვნებს, რის გამოც არ არიან ჩართული მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. ზოგიერთ ტერიტორიულ ერთეულში საჯარო სკოლებმა გამოაცხადეს კონკურსი მასწავლებლის პოზიციაზე, მასწავლებლის განათლებასთან დაკავშირებული მოთხოვნების გათვალისწინებით, თუმცა ვერ მოხდა ისეთი პირის მოძიება, რომელიც დააკმაყოფილებდა მასწავლებლის განათლებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლები დადგნენ დილემის წინაშე, შრომითი ხელშეკრულება გაეფორმებინათ პირისათვის, რომელიც არ აკმაყოფილებდა მასწავლებლის განათლებისათვის დადგენილ მოთხოვნებს ან საფრთხე შეექმნათ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისთვის. საყურადღებოა, რომ განათლების უფლება საქართველოს

კონსტიტუციით გარანტირებული უფლებაა, ამასთან, დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა. შესაბამისად, სკოლების მიერ საგანმანათლებლო პროცესისათვის საფრთხის შექმნა ხელს შეუშლიდა პირის კონსტიტუციით გარანტირებული უფლების რეალიზებას, რის გამოც ზოგიერთ სკოლაში დასაქმდა პირი, რომელიც იმ ეტაპისთვის არ აკმაყოფილებდა მასწავლებლის განათლებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. სწორედ აღნიშნული პირების მასწავლებლის პროფესიაში შესვლის ლეგიტიმური გზის შექმნას ემსახურება ზემოაღნიშნული ცვლილება.

კანონპროექტის მიხედვით, ტექნიკური ხასიათის ცვლილება შედის ასევე ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21^2 მუხლის მე-2 პუნქტში და 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კანონპროექტის თანახმად გარდამავალ და დასკვნით დებულებას 61^2 მუხლის შემდეგ ემატება 61^3 მუხლი, რომლის თანახმადაც სპეციალური მასწავლებლის განათლებასთან დადგენილი მოთხოვნები დაკმაყოფილებულად ჩაეთვლებათ პირებს, რომლებსაც აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და გავლილი აქვს სპეციალური განათლების სამაგისტრო პროგრამა. ასევე, მოქმედი სპეციალური მასწავლებლები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ამ კანონის 21^3 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ სპეციალური მასწავლებლის განათლებასთან დადგენილ მოთხოვნებს, კომპეტენციის დადასტურების მიზნით ვალდებულნი ხდებიან 2022 წლის 1 იანვრამდე ჩააბარონ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი გამოცდა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას. კანონპროექტით გათვალისწინებული მოწვეული და შემცვლელი მასწავლებელი დაფინანსდებიან ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში. აღნიშნული მასწავლებლების და ასევე მასწავლებლის მაძიებლის დაფინანსება, მოხდება სასკოლო სასწავლო გეგმის ფარგლებში და ექნებათ, იმ საგაკვეთილო საათების დატვირთვა რაც ეროვნული სასწავლო გეგმით არის გათვალისწინებული. რაც შეხება შემცვლელ მასწავლებელს, ის ახდენს იმ მასწავლებლის ჩანაცვლებას, რომელიც სკოლას შეიძლება ან საერთოდ არ ჰყავს და ახდენს ვაკანტური შტატის შევსებას ან სხვა ობიექტური გარემოების გამო ვერ ახერხებდეს გაკვეთილების ჩატარებას და ახდენს მის დროებით შეცვლას.

კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დისტანციური კურსის ტერმინის შემოღებას. უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ისედაც ახორციელებენ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო (60 კრედიტიან) პროგრამას, შესაბამისად ხდება აღნიშნული პროგრამის დისტანციურად გავლის შესაძლებლობა, რაც არ საჭიროებს დამატებითი ხარჯების გაღებას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტით არ დგინდება ფინანსური შედეგი იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

არ არის.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

არ არის.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები:

მარიამ ჯაში

გენადი მარგველაშვილი

სიმონ ნოზაძე

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები:

მარიამ ჯაში

გენადი მარგველაშვილი

სიმონ ნოზაძე